

# გამომძიებლის ორგანიზაციისა და გამომძიებლის სტატუსის სრულყოფისათვის

*მამნიაშვილი მიხეილი – პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
თბილისი, საქართველო*

## For the Perfection of Organization of Investigation and Status of Investigator

*Mamniashvili Mikheili – Professor, Faculty of Law, Sokhumi State University, Tbilisi, Georgia*

### Abstract

**Introduction and aim:** In this article is analyzed organization of investigation and status of investigator. It is considered acknowledged that the power of investigator taken into account under active criminal procedural legislation does not completely meet requirements and requires both radical change in terms of organization and anew regulation of the status of investigator. Pursuant to the active procedural legislation the investigator has no any rights on decision making and it completely depends on the prosecutor. That is why it is essential to have entitled the investigator on making certain decisions at the stage of investigation. The question is posed as to how conformable is subparagraph “q”, Article 3 of Constitution of Georgia under that only Georgian state especially conducts the investigation, when even the accused person is entitled on the investigation.

**Research methodology:** In the article are applied analytical, historical and comparative legal methods.

**Results and implications:** Article has scientific, academic and methodical importance.

**Conclusion:** By certain change of investigator’s power, as much as possible more reduction of inquisition points the investigator may become neutral, impartial party in criminal proceeding, who will have ordered to completely and impartially investigate the case in all aspects, he/she will collect both guilty and non-guilty evidences with equal assiduity. The question is raised on the centralization of investigation.

**Keywords:** investigator, prosecutor, judge, investigative procedure, operative service, operating officer, operative-investigative activity, head of investigation department, obtaining evidences.

### აბსტრაქტი

**მესავალი და მიზანი:** წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია გამომძიებლის ორგანიზაცია და გამომძიებლის სტატუსი, დადასტურებულადაა მიჩნეული, რომ გამომძიებლის უფლებამოსილება, რასაც მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს, სრულად ვერ პასუხობს წყენებულ მოთხოვნებს და მოითხოვს როგორც ორგანიზაციული კუთხით რადიკალურ ცვლილებას, ასევე გამომძიებლის სტატუსის ახლებურად დარეგულირებასაც. მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით გამომძიებელს არავითარი გადაწყვეტილების მიღების უფლება არა აქვს და ის მთლიანად პროკურორზეა დამოკიდებული, ამიტომაც აუცილებელია გამომძიებელს მიენიჭოს გამომძიებლის სტადიაზე ცალკეული სახის გადაწყვეტილებების მიღების უფლება. დასმულია საკითხი, რამდენად შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის “რ” ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს განსაკუთრებულ გამგებლობაშია გამომძიება, მაშინ როდესაც გამომძიებლის უფლებით ბრალდებულის სარგებლობს.

**კვლევის მეთოდოლოგია:** სტატიაში გამოყენებულია ანალიტიკური, ისტორიული და შედარებითი სამართლებრივი მეთოდები.

**შედეგები და გამოყენება:** სტატია აქვს სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური მნიშვნელობა.

**დასკვნა:** გამომძიებლის უფლებამოსილების გარკვეული დოზით შეცვლით, ინკვიზიციური ელემენტების რაც შეიძლება მეტი შეკვეცით შეიძლება გამომძიებელი გადაიქცეს ნეიტრალურ, მიუკერძოებელ სუბიექტად სისხლის სამართალწარმოების პროცესში, რომელსაც დაევალება საქმის ყოველმხრივი, სრული, ობიექტური გამომძიება, ერთნაირი გულმოდგინებით შეკრებს როგორც გამამტყუნებელ, ასევე გამამართლებელ მტკიცებულებებს. დასმულია საკითხი გამომძიებლის ცენტრალიზაციის შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, საგამომძიებო მოქმედება, ოპერატიული სამსახური, ოპერატიული მუშაკი, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, საგამომძიებო სამსახურის უფროსი, მტკიცებულებათა მოპოვება.

თუ თვალს გადავავლებთ ბოლო ათი წლის მანძილზე საპროცესო კანონმდებლობაში გამომძიებლის სტატუსის ევოლუციას, დავინახავთ, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესში მან რამდენიმეჯერმე შეიცვალა უფლებამოსილება და მის სტატუსს არაერთგვაროვანი ინტერპრეტაცია ჰქონდა მიცემული. კერძოდ, წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებისთანავე გამომძიებელი მოიაზრებოდა ბრალდების მხარედ. ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, პროკურორთან, მომკვლევ ორგანოსთან, მომკვლევთან, საგამომძიებო ორგანოს უფროსთან, დაზარალებულთან, სამოქალაქო მოსარჩელესთან და მათ წარმომადგენლებთან ერთად ბრალდების მხარედ გვევლინებოდა, ამასთანავე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის შესაბამისად, ასევე ახორციელებდა საჯარო სისხლის-სამართლებრივ დევნასაც, გამომძიებელი უფლებამოსილი იყო პირისათვის წარედგინა ბრალდება, შეედგინა საბრალდებო დასკვნა, რასაც დასამტკიცებლად წარუდგენდა ზედამხედველ პროკურორს.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 2005 წლის 25 მარტის №1204 ცვლილებებით, მე-15 მუხლიდან ამოღებულია გამომძიებლის, როგორც ბრალდების მხარის უფლებამოსილება, მაგრამ ამავე დროს მას შეუნარჩუნდა საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის სტატუსი. ამასთანავე, პროკურორის თანხმობით, გამომძიებელს უფლება ჰქონდა პირისათვის ბრალდების წყენებისა. რაც შეეხება საბრალდებო დასკვნას, მას ადგენდა მხოლოდ პროკურორი, რის შემდეგაც საქმე საბრალდებო დასკვნით არსებითად განსახილველად წარმართებოდა სასამართლოში.

გამომძიებლის სტატუსთან დაკავშირებით, თავიდანვე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაშიც არაერთგვაროვანი მოსაზრებები იყო გამოთქმული. ჯერ კიდევ, 1997 წელს შედგენილი საქართველოს სისხლისსამართლის საპროცესო კოდექსის პროექტით, გამომძიებელი აღარ მოიაზრებოდა არც ბრალდების მხარედ და არც სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტად. ის ნამდვილად მიუკერძოებელ, ნეიტრალურ ფიგურად იყო წარმოდგენილი. სწორედ ამ დროიდან გამოუჩნდნენ ხსენებულ პროექტს მოწინააღმდეგეები, კერძოდ, გ. ქარქაშაძე უკიდურესად უარყოფითად აფასებდა წარმოდგენილ საპროცესო კოდექსში გამომძიებლის სტატუსს და მიაჩნდა, რომ გამომძიებელი უნდა დარჩენილიყო ბრალდების მხარედ და მისცემოდა სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლება.<sup>1</sup>

პროფ. ი. გაბისონია თეორიული თვალსაზრისით, მართალია, დადებითად აფასებდა სისხლისსამართლებრივი დევნისა და გამომძიების პრაქტიკულ გამიჯვნას “საბრალდებო გადახრისაკენ” და თავისუფალი, ნეიტრალური (მიუკერძოებელი) გამომძიებლის კონცეფციას, მაგრამ პრაქტიკული ასპექტით მას მაინც უარყოფითად აფასებდა. “გადაუწყვეტელი რჩება, – წერს მკვლევარი, – მიზანი (დამნაშავის პასუხისგებაში მიცემა) ფსიქოლოგიურად განაპირობებს გამომძიებლის საპროცესო აქტივობას და პირიქით, ადექვატური მიზნის უქონლობა მას მკვეთრად ასუსტებს”.<sup>2</sup>

ავტორთა მეორე ჯგუფს მისაღებად მიაჩნდა ხსენებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტი და ფიქრობდა, რომ გამომძიებელს არც სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია უნდა ჰქონოდა და არც ბრალდების მხარე არ უნდა ყოფილიყო. მათი აზრით, გამომძიებელს

<sup>1</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, გ. ქარქაშაძე, ასეთი გამომძიებელი ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ“, 1997 წ., 11 ნოემბერი, №282.

<sup>2</sup> ა. გაბისონია. პროკურორის სტატუსი საზღვარგარეთ და სა ქართველოში, თბ., 1999, გვ. 259-260, მისივე სტატია “სისხლის სამართალ წარმოების გამარტივების თანამედროვე პრობლემები“ (კომპაქტური სქემატური ფორმატი) წიგნში “სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“, თსუ, 2003, გვ. 461.

უნდა მის-ცემოდა მხოლოდ გამოძიების ჩატარების ფუნქცია, რომელიც გარკვეული საგამომიებო მოქმედებათა ჩატარების შემდეგ, თუკი შეიკრიბებოდა გამამტყუნებელი მტკიცებულებები, საქმეს გადასცემდა პროკურორს, რომელიც შეკრებდა სხვა მტკიცებულებებს, შეადგენდა საბრალდებო დასკვნას და საქმეს არსებითად განსახილველად წარმართავდა სასამართლოში, რითაც რეალურად განხორციელდებოდა ნეიტრალური, მიუკერძოებელი გამომძიებლის კონცეფცია და პროკურორისათვის მინიჭებული სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია.<sup>3</sup>

ამავე შეხედულებას იზიარებდა პროფ. რ. გოგშელიძეც, რომელსაც მიაჩნდა, რომ აუცილებელი იყო ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულიყო გამომძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია და გამომძიებლის სტატუსში უნდა დარჩენილიყო მხოლოდ გამომძიების ფუნქციები, ხოლო პრო-კურორს უნდა განეხორციელებინა სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც ეს კლასიკური ფორმით მრავალ ქვეყანაშია.<sup>4</sup>

კ. კერესელიძის მოსაზრებით, გამომძიებლის სტატუსს უნდა ჩამოსცილებოდა ბრალდების ფუნქცია, რადგან ასეთ პირობებში გამომძიებლის საქმიანობის ძირითადი აქცენტი უფრო მეტად გადატანილი იქნებოდა გამამტყუნებელ მტკიცებულებათა შეკრებისაკენ იმისათვის, რომ კანონით დადგენილ მცირე დროში მოესწრო ეჭვმიტანილისათვის ბრალდების წარდგენა. მისივე აზრით, საბრალდებო დასკვნა უნდა შეედგინა არა გამომძიებელს, არამედ პროკურორს.<sup>5</sup>

პროფ. შ. ფაფიაშვილის აზრით, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლება უნდა ჰქონდეს მხოლოდ პროკურატურას და ამ უფლების სხვადასხვა თანამდებობის პირსა და ორგანიზაციაზე გადაწოდება დაუშვებელია. "...ამით – მართებულად აღნიშნავს მკვლევარი, – მოქალაქე-თათვის კანონით მინიჭებული უფლებების მსუყე ნიადაგის აღმოცენების "კანონიერ" ბაზას ქმნის".<sup>6</sup>

თ. მამნიაშვილსაც მიაჩნია, რომ სისხლის სამართალწარმოების პროცესში მხოლოდ პროკურორს უნდა ჰქონდეს უფლება განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო გამომძიებელი უნდა ყოფილიყო ნეიტრალური ფიგურა, რომლის ფუნქციებში უნდა შედიოდეს მხოლოდ და მხოლოდ საქმის სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება.<sup>7</sup>

ჩვენ მიერ არაერთხელაა გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ გამომძიებლის სტატუსს უნდა ჩამოსცილებოდა ბრალდების ფუნქცია, რაც მხოლოდ პროკურორს უნდა დაკისრებოდა, ხოლო გამომძიებელი გამხდარიყო ნეიტრალური, მიუკერძოებელი სახელმწიფო მოხელე, რომელსაც დაეკისრებოდა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის სრულყოფილი, ობიექტური გამოძიება, ერთნაირი გულმოდგინებით უნდა დაედგინა ბრალდების როგორც გამამტყუნებელი, ასევე გამამართლებელი მტკიცებულებები, როგორც დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებები, ერთმანეთისაგან მკვეთრად უნდა გამიჯნულიყო გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა.<sup>8</sup>

ამ მიმართულებით ჩვენეულ ხედვას იზიარებს პროფ. ი. აქუბარდია, მისი შეხედულებით: "გამომძიებისა და ბრალდების ფუნქცია ერთმანეთისაგან გამოყოფილი უნდა იყოს, რაც გამომ-

<sup>3</sup> ე. იოსავა, მ. მამნიაშვილი, უფლებები ჩამოგვართვის, მაინც ჩვენ გვედავებიან, გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 1997, №282.

<sup>4</sup> რ. გოგშელიძე, როგორი უნდა იყოს გამომძიებლის ხვალისდელი დღე? წიგნში "სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები", თსუ, 2003, გვ. 447-449.

<sup>5</sup> კ. კერესელიძე, საგამომიებო ფუნქცია და წინასწარი გამოძიება სა ქარ თველოს სისხლის სამართლის პროცესში. წიგნში "სახელ მწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები", თსუ, 2003, გვ. 239, 529.

<sup>6</sup> შ. ფაფიაშვილი, სისხლის სამართლის საქმისა და სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში. თბილისი, 1999, გვ. 18

<sup>7</sup> თ. მამნიაშვილი, გამომძიებლის სტატუსის სრულყოფის ცალ კეული პრობლემები, საერთაშორისო სამეცნიერო კრებული, 2008, „მარჯი“, №2, გვ. 71-72; მ. მამნიაშვილი, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, სსუ გამომცემლობა, №5, თბილისი, 2008, გვ. 737-749.

<sup>8</sup> მ. მამნიაშვილი, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფისათვის, ჟურნალი "მარჯი", 2008, №1, გვ. 178-191, მ. მამნია შვილი, გამომძიებლის უფლებამოსილების ზოგიერთი კონცეპტუ ა ლუ რი საკითხი, სოხუმის უნივერსიტეტის შრომები, ტ. I. 2007, გვ. 355-356.

მიუხედავად მისცემდა შესაძლებლობას, საქმის გარემოებები გამოეკვლია მართლაცდა ყოველმხრივ, სრულყოფილად და ობიექტურად”<sup>9</sup>

მოქმედმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა რადიკალურად შეცვალა წინა საპროცესო კანონმდებლობის დებულებები, რომლებიც ბრალდების მხარეს და სისხლისსამართლებრივ დევნის ფუნქციას შეეხება, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გამომძიებელი პროკურორთან ერთად ბრალდების მხარედ გვევლინება, ამასთანავე, გაუქმდა სისხლისსამართლებრივი დევნის სახეები (საჯარო, კერძო-საჯარო, კერძო, სუბსიდიური) და დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქცია მხოლოდ პროკურორს დაეკისრა, რომლის განხორციელებისას ვალდებულია საჯარო ინტერესებით იხელმძღვანელოს.

ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა პროკურორის, როგორც საპროცესო ხელმძღვანელის ფუნქცია გამომძიების პროცესში. თუ წინა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით პროკურორის თანხმობით, გამომძიებელსაც ჰქონდა უფლება სასამართლოში წარედგინა შუამდგომლობა, ისეთი საგამომძიებლო მოქმედებების ჩასატარებლად, რომლითაც იზღუდებოდა მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლებები (ჩხრეკა, ამოღება და ა.შ.), ახალი საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის “ე” ქვეპუნქტის თანახმად, ასეთი შუამდგომლობის სასამართლოში შეტანის უფლებით მხოლოდ პროკურორი სარგებლობს. ამასთანავე, მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ, ასევე თავისი დადგენილებით ერთ წარმოებად გაერთიანოს სისხლის სამართლის საქმეები ან სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებისათვის გამოეყოს სისხლის სამართლის საქმე. გარდა ამისა, მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების თაობაზე (სსსკ 67-70 მუხლები).

ამდენად, როგორც დავინახეთ, საპროცესო კანონმდებლობაში გამომძიებლის უფლებამოსილების შემცირების ხარჯზე, რადგანაც მას მხოლოდ გამომძიების წარმოება დაევა, გამომძიებელს ფაქტობრივად სხვა არავითარი უფლებები აღარ გააჩნია, შესაბამისად, მკვეთრად გაიზარდა პროკურორის ფუნქციები და ის, როგორც მართებულადაა მითითებული, “დაუბრკოლებლად, ყოველგვარი შიდა წინააღმდეგობის გარეშე, ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას მისთვის სასურველი შედეგების დადგომის მიზნით”.<sup>10</sup>

უფრო რთულადაა საქმე გამომძიებლის ორგანიზაციული და პროცესუალური დამოუკიდებლობის თვალსაზრისით და სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება. ამის მკაფიო გამოხატულებაა ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლები ოპერატიულ-სამძებრო სამსახურების უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებიან და მათი ნება-სურვილის შემსრულებლად გვევლინებიან. საკმარისია აღინიშნოს ის, რომ გამომძიების საქმიანობის, ორგანიზაციული და მეთოდური ხელმძღვანელობის მიზნით დღემდე შსს-ს ცენტრალურ აპარატში არავითარი სტრუქტურა არ არსებობს. ყოველივე ეს უდავოა უკიდურესად უარყოფითად აისახება გამომძიების ხარისხზე და სასამართლოს მიერ დადგენილ განაჩენებზე.

შეუძლებელია არ შევხვით ერთ მეტად მტკივნეულ და კანონშეუსაბამო შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 113 და 103 ბრძანებებს, რომლითაც შემოღებული იქნა ისეთი ინსტიტუტები, როგორცაა “დეტექტივ-გამომძიებელი”, “დეტექტივ გამომძიებლის თანაშემწე”, და “უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი”, რომლებიც უფლებამოსილნი არიან აწარმოონ გამომძიება.

არც ერთ ხსენებულ სახელმწიფო მოხელეს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს, კერძოდ, სსს კოდექსის 37-ე; 100-135-ე მუხლებით გამომძიების ჩამტარებელ პირად მოხსენებულია მხოლოდ პროკურორი და გამომძიებელი.

<sup>9</sup> ი. აქუბარდია, მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, წიგნში მზია ლეკვეიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებული, გამ. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014, გვ. 130-146.

<sup>10</sup> ჯ. გახოკიძე, მ. ბაძაღა, ზ. მელქაძე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირება: პრობლემები და გადაჭრის გზები, შ. ფაფიაშვილის 8 წლის საიუბილეო კრებული, გამ. „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2015 წ., გვ. 79

ამდენად, საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, აღნიშნული მოხელეები ითვლებიან არაუფლებამოსილ პირებად და მათ არ უნდა ჰქონდეთ არავითარი უფლებამოსილება გამოძიების ჩატარებისა, რბილად რომ ვთქვათ, მოქმედ საპროცესო კანონმდებლობასთან შეუსაბამობაშია.

მოქმედი საპროცესო კოდექსის სიახლეა ისიც, რომ შესამჩნევად გაფართოვდა გამოძიების სტადიაზე სასამართლო კონტროლი. გარდა იმისა, რომ მხოლოდ სასამართლო უფლებამოსილი პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე თავისი განჩინებით უფლება მისცეს გამოძიებელს ჩაატაროს ადამიანის უფლებების შემზღვეველი საგამოძიებო მოქმედებები, სასამართლოს კომპეტენციაში გადავიდა ასევე მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის საკითხის გადაწყვეტა. მაშინ, როდესაც ადრე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით ამის უფლებით გამოძიებელიც და პროკურორიც სარგებლობდა.

მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის თავისებურება ისაა, რომ გამოძიების სტადიიდანვე (სისხლისსამართლებრივი დევნა) იწყება შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაცია, რაც იმით გამოიხატება, რომ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს თანაბარი უფლებები აქვთ, საგამოძიებო მოქმედებების საშუალებით შეკრიბონ მტკიცებულებები, თუკი ადრე დაცვის მხარე უფლებამოსილი არ იყო შუამდგომლობით მიემართა სასამართლოსთვის ჩხრეკის ან ამოღების ჩატარების მოთხოვნით, ამასწინათ საპროცესო კოდექსში შესული ცვლილებებით ამის უფლება უკვე გააჩნია, ბრალდებისა და დაცვის მხარის უფლებამოსილებები საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებისა და მტკიცებულებათა შეკრების მიმართებით ერთმანეთს გაუთანაბრდა, ამასთანავე დაცვის მხარის მტკიცებულებები გამოკვლეული უნდა იყოს იმავე პირობებში, რა პირობებშიც ხდება ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა (სსსკ 38 მ. 14 ნ.), კიდევ მეტი ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ შეკრიბილ მტკიცებულებებს თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნიათ (სსსკ 39 მ., I ნაწ.), აღნიშნულის გამო გამოძიებლის უფლებამოსილებაც შეიცვალა. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გამოძიებელი ვალდებულია გამოძიება ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად აწარმოოს, მაგრამ, ვინაიდან გამოძიებელი ბრალდების მხარეა, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა წინა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით, აღარ ავალდებულებს მას დაადგინოს ბრალდების გამამართლებელი მტკიცებულებები ან შემამსუბუქებელი გარემოებები.

ამ მხრივ, საინტერესო შეხედულება აქვს გამოთქმული პროფ. ი. აქუბარდიას იმის შესახებ, რომ რამდენადაც საქართველოს სსსკ მე-3 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გამოძიებელი, პროკურორთან ერთად ბრალდების მხარედ გვევლინება, საპროცესო კანონმდებლობა აღარ ავალდებულებს არც ბრალდების გამამართლებელი მტკიცებულების და არც პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების დადგენას, მის ფუნქციებში შედის მხოლოდ ბრალდების მტკიცებულებათა მოპოვება.

გამომძიებელი ობიექტური და მიუკერძოებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ საპროცესო კანონმდებლობით დაეკისრება როგორც ბრალდების გამამტყუნებელი, ასევე გამამართლებელი მტკიცებულებათა შეკრება, როგორც დამამძიმებელი, ასევე გამამართლებელი გარემოებათა დადგენა, ხოლო ისეთ პირობებში, როდესაც გამოძიებელი ბრალდების მხარეა, მკვლევარის აზრით, შეუძლებელია ვისაუბროთ მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობაზე, რის გამოც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი ფაქტობრივად ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილს,<sup>11</sup> რასაც არ შეიძლება არ დავეთანხმოთ.

ამდენად, საპროცესო კანონმდებლობის ანალიზიდან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ვინაიდან გამოძიებელი ბრალდების მხარეა, მის ფუნქციაში, უპირველეს ყოვლისა, ბრალდების მტკიცებულებათა შეკრება უნდა შედიოდეს, მაგრამ ვალდებულია გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად.

ამასთანავე, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არ არის გამორიცხული, გამოძიებელმა სისხლსამართლებრივი დევნის სტადიაზე შეკრიბოს არა მარტო ბრალდებულის გამამტყუნებელი მტკიცებულებები, ანდა ბრალდების პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები, არამედ

<sup>11</sup> ი. აქუბარდია, მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, წიგნში მზია ლეკვეიშვილი 85, საიუბილეო კრებული, გამომცემლობა "იურისტების სამყარო", თბილისი, 2014, გვ. 136-137.

ასევე ბრალდებულის გამამართლებელი მტკიცებულებები, ანდა მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, ასეთი პირობების არსებობისას გამომძიებელმა ალბათ (თუმცა საპროცესო კანონმდებლობა ამას არ ავალდებულებს), უნდა გამოიჩინოს “ობიექტურობა” თუ არა გულისხმობს მინც. იგნორირება არ მოახდინოს ასეთი სახის მტკიცებულებაზე, თუ არ შეამოწმებს მათ რეალობას, უკიდურეს შემთხვევაში არ უნდა დამალოს მინც და გადასცეს დაცვის მხარეს (სსსკ 83-ე მუხლი), რაც შესაძლებელია შემდგომ, პროკურორის მხრიდან სისხლსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველიც გახდეს.

ისეთ პირობებში, როდესაც მხარეებს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით საგამომძიებო მოქმედებების ჩატარებისას თანაბარი უფლებები აქვთ, ისმის ლოგიკური შეკითხვა, კერძოდ, რა საგამომძიებო მოქმედებების ჩატარების შესაძლებლობა აქვს დაცვის მხარეს დამოუკიდებლად?

ვფიქრობთ, ამ საკითხის გარკვევას ნათელს ჰფენს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის ინტერპრეტაცია, რომლის თანახმადაც, ბრალდებულს უფლება აქვს დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება საპროცესო კოდექსის დადგენილი წესით; მოითხოვოს საგამომძიებო მოქმედებების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად; მონაწილეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამომძიებო მოქმედებებში; მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებულ საგამომძიებო მოქმედებების დროს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საპროცესო კანონმდებლობა უშვებს დაცვის მხრიდან ნებისმიერი საგამომძიებო მოქმედებების ჩატარებას, გარდა ფარული საგამომძიებო მოქმედებების, საბანკო ანგარიშების მონიტორინგს, საგამომძიებო მოქმედების გადაუდებელი აუცილებლობისას (სსსკ 112-ე მუხლის მე-5 ნაწ.), რომელთა ჩატარების უფლებით მხოლოდ ბრალდების მხარე სარგებლობს.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ზემოთ ხსენებული საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციის მესამე მუხლის „რ“ ქვეპუნქტის იმ იმპერატიულ დანაწესთან, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოს განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება კრიმინალური პოლიცია და გამოძიება.

მხარეები საგამომძიებო მოქმედებას ატარებენ საპროცესო კანონმდებლობით. დადგენილი წესით და დადგენილ ფარგლებში, ამ მიმართულებით ნოვაციას წარმოადგენს ის, რომ დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლო განჩინების საფუძველზე, საგამომძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს, ასეთ შემთხვევაში გამომძიებელი უნდა შეარჩიოს საგამომძიებო ორგანოს ხელმძღვანელმა, რომლის ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები დაცვის მხარეს უნდა ეცნობოს შუამდგომლობით მოთხოვნილი საგამომძიებო მოქმედების ჩატარებამდე.

ვფიქრობთ, მიუღებელია რაიმე მოვალეობა დაეკისროს ისეთ პირს, რომელიც საპროცესო საქმიანობის სუბიექტს არ წარმოადგენს, მაგრამ სამართალწარმოების პროცესში გამოჩნდა ასეთი პირი “საგამომძიებო ორგანოს ხელმძღვანელი” და, როგორც წესი, შეუძლებელია მას რაიმე ფუნქცია დაეკისროს (სსსკ 111). ფაქტობრივად მან პროკურორის უფლება მიისაკუთრა.

ფიქციას წარმოადგენს ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის რეგულაცია იმის შესახებ, რომ თუ გამომძიებელი არ ეთანხმება პროკურორის მითითებას, მას უფლება აქვს საქმე და თავისი მოსაზრება წერილობით წარუდგინოს ზემდგომ პროკურორს. ზემდგომ პროკურორს შეუძლია გააუქმოს ქვემდგომი პროკურორის მითითება ან გამოძიება სხვა გამომძიებელს დაავალოს. ზემდგომი პროკურორის გადაწყვეტილება საბოლოოა.

შეუძლებლად და უბრალოდ ულოგიკოდ მიგვაჩნია ისეთი შემთხვევა, როდესაც გამომძიებელს გამოძიებისა თუ სისხლისსამართლებრივი დევნის სტადიაზე არა აქვს შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მიიღოს რაიმე სახის გადაწყვეტილება (გარდა საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარებისა), საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორის ნებართვის გარეშე დასაკითხ პირს დაუსვას შეკითხვები (როგორც ეს მახინჯი მოვლენა დამკვიდრდა პრაქტიკაში) და ა.შ. და ზოგადად, მას სისხლის სამართალწარმოების პროცესში ფაქტობრივად არავითარი უფლებამოსილება არ გააჩნია,

თუნდაც სურვილის დონეზეც კი გაუჩნდეს პრეტენზია პროკურორის მიერ მიცემული მითითების გასაჩივრების შესახებ. ამკარაა, ეს მუხლი მკვდარშობილია და მას პრაქტიკაში რეალიზაცია არ უწერია.

ყველაზე უფრო მეტად თანასწორობისა და შეჯიბრებითობის სამართალწარმოებას ხელს უშლის ის, რომ გამომძიებელი ბრალდების მხარედ გვევლინება, მიუხედავად იმისა, რომ მას კანონმდებლობით არა აქვს არც ერთი საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტის უფლება, რომელიც სისხლისსამართლებრივი დევნის შემადგენელ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს. ის არ ახორციელებს დევნას, მას არ გამოაქვს დადგენილება ბრალდების შესახებ – იგი არ მართავს სასამართლოს რომელიმე სახის აღკვეთის ღონისძიების ან იძულებითი ხასიათის ღონისძიების გამოყენებაზე, არ იწყებს და არ აწარმოებს სისხლისსამართლებრივ დევნას, მას არც ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე გადაწყვეტილების მიღების უფლება გააჩნია, გამომძიებელი ბრალდების მხარეს წარმოადგენს და ვალდებულია, შეკრიბოს მხოლოდ ბრალდების გამამტყუნებელი მტკიცებულებები, მაგრამ ის ვალდებულია, გამოძიება აწარმოოს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად (სსსკ 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული შეხედულება, მაგალითად, ნ. მეზვრიშვილს მიაჩნია, რომ სსსკ 37-ე მუხლი გამომძიებელს გამოძიების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურ ჩატარებას აკისრებს, რაც გარკვეულწილად მის მიერ, როგორც პირის ბრალეულობის დამადასტურებელ, ასევე გამამართლებელ მტკიცებულების მოპოვებას გულისხმობს.<sup>12</sup>

ჩვენ ვერ გავიზიარებთ მკვლევარის აღნიშნულ მოსაზრებას, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სიტყვა “ობიექტურობა” უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს გამომძიებლის ვალდებულებას, ერთნაირი გულმოდგინებით შეამოწმოს, როგორც ბრალდების გამამტყუნებელი, ასევე გამამართლებელი მტკიცებულებები, პასუხისმგებლობის როგორც დამამძიებელი, ასევე შემამსუბუქებელი გარემოებები.

ობიექტურობა სამართლებრივი და ზნეობრივი მოთხოვნაა. იგი მოიცავს გამომძიებლის მიუკერძოებლობას, გამორიცხავს მისი მხრიდან სუბიექტივიზმს, ტედენციურობას. მიუკერძოებლობა იმასაც გულისხმობს, რომ გამომძიებელი არ უნდა იყოს დაინტერესებული საქმის შედეგით,<sup>13</sup> მაგრამ მოქმედი საპროცესო კოდექსით გამომძიებელი ბრალდების მხარედ გვევლინება და შესაბამისად, სრულიად ზედმეტია საუბარი მის “ობიექტურობაზე”, რადგანაც მის ვალდებულებაში მხოლოდ ბრალდების მტკიცებულებათა მოპოვება შედის. ასეთი პირობების არსებობისას წარმოუდგენლად გვეჩვენება გამომძიებელი იყოს ბრალდების მხარე და თანაც ობიექტური, და თან არ იყოს დაინტერესებული საქმის შედეგებით, კიდევ მეტი, გამომძიებლის “ობიექტურობაში” ეჭვი თვით კანონმდებელსაც კი შეაქვს, როდესაც შემოაქვს სამართლებრივი ნორმა და იძულებულია, არაუფლებამოსილ სახელმწიფო მოხელეს “საგამომძიებო ორგანოს ხელმძღვანელს” დაავალოს დაცვის მხარის მიერ სასამართლოს განჩინებით დაკმაყოფილებული საგამომძიებო მოქმედების (ჩხრეკა, ამოღება და აშ.) ჩატარება მიანდოს არა იმ გამომძიებელს, ვისაც წარმოებასი აქვს მოცემული სისხლის სამართლის საქმე, (ანუ ეჭვი ეპარება მის ობიექტურობაში), არამედ შეარჩიოს სხვა გამომძიებელი, აქვე იბადება ლეგიტიმური შეკითხვა, რა გარანტია არსებობს იმისა, რომ სხვა გამომძიებელი “ობიექტურობას” გამოიჩენს, ისიც ხომ ბრალდების მხარეს წარმოადგენს?

ასეთი პირობების არსებობისას წარმოიქმნება პარადოქსული სიტუაცია, როდესაც ერთსა და იგივე საქმეზე სხვადასხვა საგამომძიებო მოქმედებებს ატარებს ორი გამომძიებელი, ერთი, ვისაც საქმე აქვს წარმოებაში და მეორე, რომელმაც უნდა შეასრულოს დაცვის მხარის მიერ მოთხოვნილი საგამომძიებო მოქმედებები, თუმცა ორივე მათგანი რეალურად ბრალდების მხარეს წარმოადგენს.

<sup>12</sup> ნათია მეზვრიშვილი, გამომძიებელი, წიგნში საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამ. `მერიდიანი`, თბილისი, 2015 წ. გვ. 171-172.

<sup>13</sup> ი. აქუბარდია, მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, წიგნში მზია ლეკვეიშვილი 85, საიუბილეო კრებული, გამ. `იურისტების სამყარო`, თბილისი, 2014, გვ. 136.

ამისათვის კი მიზანშეწონილად მიგვაჩნია ბრალდებისა და გამოძიების ფუნქციების მკვეთრად გამოიჯვანა; გამოძიებელს უნდა ჩამოსცილდეს ბრალდების ფუნქცია. ის არ უნდა წარმოადგენდეს ბრალდების მხარეს, არამედ ის უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი სახელმწიფო მოხელე, რომელსაც დაეკისრება საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების ჩატარება, ერთნაირი გულმოდგინებით უნდა შეამოწმოს ბრალდების, როგორც გამამტყუნებელი, ასევე გამამართლებელი მტკიცებულებები, პასუხისმგებლობის როგორც დამამძიებელი, ასევე შემამსუბუქებელი გარემოებები.<sup>14</sup>

ჩვენეულ ხედვას ამ მიმართულებით გამოთქვამს დ. ბენიძე, რომელსაც მიაჩნია, რომ უმჯობესია გამოძიებელს ჩამოცილდეს ბრალდების ფუნქცია და მას დაეკისროს მხოლოდ საქმის მიუკერძოებელი, სრული და ობიექტური გამოძიება: “გამომძიებელი, – წერს ავტორი, – არ შეიძლება ჩაითვალოს ბრალდების მხარედ. ამის გამო კოდექსის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილიდან სიტყვა “გამომძიებელი” ამოღებული უნდა იქნეს”<sup>15</sup>

პროფ. ლ. მსხილაძეც სავსებით ეთანხმება გამოძიებლის ბრალდების მხარისაგან ჩამოცილების კონცეფციას და მიაჩნია, რომ საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ამგვარი ცვლილებების განხორციელებით უკეთ მოხდება სამართალწარმოების პროცესში თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის წარმოება.<sup>16</sup>

მ. მდინარაძესაც ეჭვი შეაქვს სხვა გამოძიებლის მიერ დაცვის მხარის მიერ მოთხოვნილ საგამომძიებო მოქმედებათა ჩატარების “ობიექტურობაში”, რომელიც, ჯერ ერთი, ბრალდების მხარეს წარმოადგენს და, მეორეც, იმავე უწყების თანამშრომელია და სავსებით სამართლიანად ულოგიკოდ მიაჩნია იმის მტკიცებაც, რომ ის საკუთარი კოლეგიის საწინააღმდეგოდ იმოქმედებს, ამიტომ ის ფიქრობს, რომ დაცვის მხარის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი საგამომძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს ადამიანისათვის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებას (ჩხრეკა, ამოღება და ა.შ.) უნდა ჩაატაროს უშუალოდ დაცვის მხარემ (ადვოკატმა, ბრალდებულმა).<sup>17</sup> ეს შეხედულება შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველ საყოფად თავისთავად ცუდი არ არის, რადგანაც მოქმედი საპროცესო კანონმდებლობიდან გამომდინარე, უკეთ მოხდება მხარეთა შორის თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაცია, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გავიზიარებთ ავტორის მიერ გამოთქმულ შეხედულებას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იძულებითი სახის საგამომძიებო მოქმედება უმჯობესია ჩაატაროს არა დაცვის მხარემ, არამედ სახელმწიფო მოხელემ, გამოძიებელმა, რადგანაც სახელმწიფო უნდა იყოს ამ საგამომძიებო მოქმედებათა კანონიერად ჩატარების ერთადერთი მყარი გარანტი, მაგრამ ერთი პირობით, თუ ის არ წარმოადგენს ბრალდების მხარეს, არამედ იქნება მიუკერძოებელი და ნეიტრალური ფიგურა სისხლის სამართალწარმოების პროცესში.

ამდენად, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, გამოძიებლის სტატუსის ამგვარი რეგულაცია, ექვივარეშა, ხელს შეუწყობდა სისხლის სამართალწარმოების პროცესში თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის უკეთ და რეალურ განხორციელებას. გამოძიებლის უფლებამოსილებიდან გამომდინარე და მისივე მეშვეობით, ორივე მხარეს თანაბრად მიეცემოდათ შესაძლებლობა მიეღოთ და რეალიზაცია მოეხდინათ მათთვის სასარგებლო მტკიცებულებებზე.

თუ შევადარებთ გამოძიებლის ქართულ მოდელს, საერთო სამართლის სისტემის ქვეყნების კანონმდებლობასთან დავინახავთ, რომ ამ მიმართულებითაც ქართული გამოძიებელი “დაჩაგრულია”, რადგანაც ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნებში წინასწარი გამოძიების

<sup>14</sup> ჯ. გახოკიძე, მ. მამნიაშვილი, გამოძიებელი სისხლის სამართლის პროცესში, წიგნში საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ავტორთა კოლექტივი ჯ. გახოკიძის, მ. მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქციით, გამ. `იურისტების სამყარო`, თბილისი, 2015, გვ. 139-140.

<sup>15</sup> დ. ბენიძე, შეჯიბრებითობის პრინციპის ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, სამეცნიერო შრომების კრებული, 2014, <http://www.nplg.gov>.

<sup>16</sup> ლილი მსხილაძე, შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, წარდგენილი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, სტუ. თბილისი, 2015, გვ. 92-97.

<sup>17</sup> მ. მდინარაძე, საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეული ზოგიერთი პრობლემა მართლმსაჯულების განხორციელებისას, ჟურნ. `სამართალი და მსოფლიო`, სპეციალური გამოცემა, კონფერენციის მასალები, #2, 2015, გვ. 94-96.



ინსტიტუტი არ არსებობს და იქ პოლიციელი ასრულებს გამომძიებლის ფუნქციებს, რომელიც ბრალდების მხარეს არ წარმოადგენს და ნეიტრალურ ფიგურად გვევლინება. მას ევალება მოიძიოს ყველა სახის მტკიცებულება, ხოლო გამამართლებელი მტკიცებულების მოპოვების შემთხვევაში ვალდებულება ეკისრება ის გადასცეს დაცვის მხარეს; ყოველივე ეს კი მოწმობს იმაზე, რომ საერთო სამართალში სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულებაა დამნაშავეობისადმი ბრძოლის სახელმწიფოებრივი მიდგომა, კერძოდ, დანაშაულის ჩადენაში დამნაშავე პირის მხილება, ხოლო უდანაშაულობის შემთხვევაში პირის გამართლება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 2017 წ. ივნისის მდგომარეობით;
3. გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", გ. ქარქაშაძე, ასეთი გამომძიებელი ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ", 1997 წ., 11 ნოემბერი, №282.
4. ა. გაბისონია. პროკურორის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, თბ., 1999, მისივე სტატია "სისხლისსამართალწარმოების გამარტივების თანამედროვე პრობლემები" (კომპაქტური სქემატური ფორმატი) წიგნში "სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები", თსუ, 2003;
5. ე. იოსავა, მ. მამნიაშვილი, უფლებები ჩამოგვართვეს, მაინც ჩვენ გვედავებინ, გაზ. "საქართველოს რესპუბლიკა", 1997, №282.
6. რ. გოგშელიძე, როგორი უნდა იყოს გამომძიებლის ხვალისდელი დღე? წიგნში "სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები", თსუ, 2003,
7. კ. კერესელიძე, საგამომძიებო ფუნქცია და წინასწარი გამოძიება საქარ-თველოს სისხლის სამართლის პროცესში. წიგნში "სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები", თსუ, 2003;
8. შ. ფაფიაშვილი, სისხლის სამართლის საქმისა და სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრის პრობლემა სისხლის სამართლის პროცესში.თბილისი, 1999;
9. თ. მამნიაშვილი, გამომძიებლის სტატუსის სრულყოფის ცალკეული პრობლემები, საერთაშორისო სამეცნიერო კრებული, "მარჯი", 2008, №2, მ. მამნიაშვილი, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,სსუ გამომცემლობა, №5, თბილისი, 2008;
10. მ. მამნიაშვილი, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფისათვის, ჟურნალი "მარჯი", 2008, №1; მ. მამნიაშვილი, გამომძიებლის უფლებამოსილების ზოგიერთი კონცეპტუალური საკითხი, სოხუმის უნივერსიტეტის შრომები, ტ. I. 2007,
11. ი. აქუზარდია, მხარეთა თანასწორობა და მოსამართლის როლი შეჯიბრებით სამართალწარმოებაში, წიგნში მზია ლეკვიშვილის 85 წლის საიუბილეო კრებული, გამ. "იურისტების სამყარო", თბილისი, 2014;
12. ჯ. გახოვიძე, მ. ბაძაღვა, ზ. მელქაძე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირება: პრობლემები და გადაჭრის გზები, შ. ფაფიაშვილის 80 წლის საიუბილეო კრებული, გამ."იურისტების სამყარო", თბილისი, 2015;
13. ნათია მეზვრიშვილი, გამომძიებელი, წიგნში საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2015 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გამ. "მერიდიანი", თბილისი, 2015;
14. ჯ. გახოვიძე, მ. მამნიაშვილი, გამომძიებელი სისხლის სამართლის პროცესში, წიგნში საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი), ავტორთა კოლექტივი ჯ. გახოვიძის, მ. მამნიაშვილის, ი. გაბისონიას რედაქციით, გამ. "იურისტების სამყარო", თბილისი, 2015;
15. დ. ბენიძე, შეჯიბრებითობის პრინციპის ტრანსფორმაცია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში, სამეცნიერო შრომების კრებული, 2014, <http://www.nplg.gov>.
16. ლილი მსხილაძე, შეჯიბრებითობა სისხლის სამართლის პროცესში, წარდგენილი დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, სტუ. თბილისი, 2015;
17. მ. მდინარაძე, საკანონმდებლო ცვლილებებით გამოწვეული ზოგიერთი პრობლემა მართლმსაჯულების განხორციელებისას, ჟურნ. "სამართალი და მსოფლიო", სპეციალური გამოცემა, კონფერენციის მასალები, №2, 2015.